საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

## სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

# ბრძანება

02 11 2021 წ. № 197 ქ. თბილისი

საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებისათვის „წერე ქართულ კინოზე" კონკურსის გამარჯვებულთა გამოსავლენი კომისიის შექმნის თაობაზე

სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ" ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის კონკურსის „წერე ქართულ კინოზე" გამარჯვებულთა გამოსავლენად 2021 წლის 2 ნოემბერს შეიქმნას კომისია 3 წევრის შემადგენლობით:

1. ნინო მხეიძე (კინომცოდნე);
2. ქეთევან ჯაფარიძე (კინომცოდნე);
3. დიანა მაღლაკელიძე (კინომცოდნე);

2. წინამდებარე ბრძანებით შექმნილი კომისიის წევრთათვის ანონიმურია განსახილველი რეცენზიების ავტორების ვინაობა.
3. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღებულ იქნას ხმათა უბრალო უმრავლესობით.
4.გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. დაევალოს კინოცენტრის IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე